899.962.1
ქ-557

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დარეჯან მენაბდე

რუსული თემატიკა ქართულ სამოგზაურო–მემუარულ ლიტერატურაში (XVIII ს.)

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

ოფიციალური ოპონენტები:

ოთარ ბაქანიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი 10.01.02

ნინო მახათაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი 10.01.01

სოსო სიგუა
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი 10.01.10

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის „23“ XII „1330“ საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P.10.10. № 4) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1;

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის „21“ XI „05

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი / ნ. ტაბიძე /

-2045-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. XVIII საუკუნისა და ე.წ. „გარდამავალი ხანის“ ქართულ სამოგზაურო–მემუარული ჟანრის ლიტერატურაში საგანგებო ადგილი უჭირავს რუსეთის თემატიკას და ეს არცაა გასაკვირი. მას შემდეგ, რაც დასავლეთში საიმედო მოკავშირისა და მფარველის პოვნის ყოველგვარი პოლიტიკურ–დიპლომატიური რესურსები ამოიწურა, რუსეთი, არსებითად, დარჩა ერთადერთ გზად ქრისტიანულ ევროპასთან პოლიტიკური და კულტურული კავშირების დასამყარებლად. მით უმეტეს, თვითონ რუსეთშიც მოცემულ ეპოქაში მიმდინარეობდა სახელმწიფოებრივ–პოლიტიკური, სავაჭრო–ეკონომიკური, სამხედრო თუ კულტურულ–სალიტერატურო ცხოვრების ინტენსიური ევროპეიზაცია, რამაც, თავის მხრივ, საქართველოში ერთიორად გაზარდა ინტერესი რუსეთისა და იქ მიმდინარე პროცესებისადმი.

XVIII საუკუნის 20–იანი წლებიდან მოკიდებული გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის გაფორმებამდე და მას შემდეგაც, რაც მონარქისტული რუსეთის ხელისუფლებამ ვერაგულად დაარღვია ტრაქტატის პირობები და გააუქმა ქართლ–კახეთის სამეფო, რუსეთში ნებაყოფლობით თუ იძულებით მოუხდა ჩასვლა ქართული სამოგზაურო–მემუარული მწერლობის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელს. მათ თავიანთ თხზულებებში მეტ–ნაკლები სისრულითა და საფუძვლიანობით ასახეს კიდეც მთელი ეს რთული, წინააღმდეგობრივი და ტრაგიკული შედეგებით დასრულებული ურთიერთობა ორ ქრისტიანულ ქვეყანას შორის.

აღნიშნული მასალის საგანგებო და სისტემური სახით კვლევას გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს როგორც საკუთრივ ქართული მწერლობის ისტორიის, აგრეთვე, ქართულ–რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა, ისე ზოგადად სამოგზაურო–მემუარული ჟანრის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც. სადისერტაციო შრომის აქტუალობაც მნიშვნელოვანწილად ზემოაღნიშნული გარემოებებითაა განპირობებული.

კვლევის საგანი და მიზანი. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სამოგზაურო–მემუარული ჟანრის თხზულებები იმ ათი მწერ-